პანელური განხილვები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში

პრეს-რელიზი

<u>2022 წლის 15 ივნისი, თბილისი</u> - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) პანელური განხილვები თემაზე **„საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესება საქართველოში“** გამართა.

ღონისძიება შეეხო საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის მთავარ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა, **გიორგი კლდიაშვილმა.**

„ჩვენი კვლევები და გამოცდილება აჩვენებს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონმდებლობა მოძველებულია. ამ მიმართულებით, 2014 წელს შემუშავდა კანონპროექტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის ინიცირება არაერთი სამოქმედო გეგმის ნაწილია, თუმცა, დღემდე, პოლიტიკური ნება იმისა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდეს, არ არსებობს. გვსურს კიდევ ერთხელ შევახსენოთ ხელისუფლებას ამ საკითხის პრიორიტეტულობა და მოძველებული კანონმდებლობის გადახედვა" - აღნიშნა **გიორგი კლდიაშვილმა.**

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ორი პანელური დისკუსია საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების, ასევე, სამოქალაქო, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკულ გამოწვევებზე ისაუბრეს სამართლისა და დემოკრატიის ცენტრის (კანადა) აღმასრულებელმა დირექტორმა, **ტობი მენდელმა;** ღია საზოგადოების ფონდის წარმომადგენელმა, **ვაკო ნაცვლიშვილმა;** ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მედიისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელმა, **გიორგი დავითურმა;**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა, **თამარ გუგუტიშვილმა** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის პროფესორმა **მაია კოპალეიშვილმა.** პანელს მოდერაციას უწევდა **ლევან ავალიშვილი,** IDFI-ის პროგრამების დირექტორი.

ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის კანონმდებლობაზე და გამოწვევებზე იმსჯელეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მმართველობის სამმართველოს უფროსმა **ქეთევან ცანავამ;** ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წარმომადგენელმა და ევროპის საბჭოს კომიტეტების წევრმა (მოლდოვა), **ვერონიკა კრეტუმ;** ღია მონაცემების ექსპერტმა (უკრაინა) **ნადია ბაბინსკა-ვირნამ** და კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ გაგნიძემ.**

პანელურ განხილვას მოდერაციას უწევდა IDFI-ის ადგილობრივი მმართველობის, ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულებების ხელმძღვანელი, **თეონა ტურაშვილი,** რომელმაც პანელის დასაწყისში მიმოიხილა საქართველოს შედეგები მონაცემების გლობალური ბარომეტრის კვლევაში და გამოყო ქვეყნის მთავარი გამოწვევები და საჭიროებები. კერძოდ, ხაზი გაესვა ღია მონაცემების ერთიანი პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოსა და ღია მონაცემების სტანდარტის აუცილებლობას.

გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, პანელის მომხსენებლებმა ისაუბრეს გასატარებელ ღონისძიებებზე, ხელისუფლების გეგმებსა და ამ პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკების გათვალისწინებაზე. ასევე, მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს ღია მონაცემების ინიციატივების განხორციელებისას სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის აუცილებლობაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის ამგვარი ინიციატივებიდან წარმოქმნილ საზოგადოებრივ სიკეთეებს.

ღონისძიება გაიმართა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (Sida) და International Media Support (IMS)-ის მხარდაჭერით.

საკონტაქტო ინფორმაცია: მაგდა გუგავა, IDFI, +995 599420206, m.gugava@idfi.ge